ლადო გრძელიშვილი •

ევროპარტიებში გაერთიანებული ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორია

აბსტრაქტი

დღევანდელი საქართველოსთვის, რომელიც ევროპის კავშირის მხრიდან კანდიდატის სტატუსის მინიჭების მოლოდინშია, უზარმაზარი მნიშვნელობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ევროპარტიებს შორის არსებულ ურთიერთობებს ენიჭება. ევროპარტიები, როგორც ევროპარლამენტის შემადგენელი ნაწილნი ეროვნული პოლიტიკური პარტიებისთვის ერთგვარ მექანიზმს წარმოადგენენ. ევროპარტიებთან ეფექტური კომუნიკაციის გარეშე ფაქტობრივად ზედმეტია იმაზე საუბარი, შეუძლია თუ არა საქართველოს ევროპის კავშირში სრული ინტეგრაცია. გამოდის, რომ ევროპარტიები ეროვნული პოლიტიკური პარტიებისთვის გარკვეულ წინაპირობას ქმნიან, რათა საბოლოო მიზანი იქნას მიღწეული და საქართველო ევროპის კავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. მიუხედავად აღნიშნულისა, პარადოქსია, რომ საქართველოში ასეთი აქტუალური საკითხი (ევროპარტიები და ქართული პოლიტიკური პარტიები) მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი. სამეცნიერო საზოგადოებისა და სამოქალაქო სექტორის გარდა, საქართველოში ევროპარტიებთან ურთიერთობას ძირითადად, მედია აშუქებს, თუმცა ამგვარი ინფორმაციაც საკმაოდ მცირეა. აქიდან გამომდინარე, აღნიშნული სტატია ყურადღებას ამახვილებს ქართული პოლიტიკური პარტიებისა და ევროპარტიების ურთიერთობათა ისტორიაზე და ქრონოლოგიური თანმიმდევრულობით გამოკვლეულია, თუ რომელი ქართული პოლი-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

ტიკური პარტიები არიან ევროპარტიებთან დაკავშირებულნი და ზოგადად, როგორია მხარეთა შორის არსებული დიალოგი.

საკვანძო სიტყვები: ევროპარტიები, ქართული პოლიტიკური პარტიები.

შესავალი

ევროპარტიები პოლიტიკური პარტიების იმგვარ ორგანიზაციულ ტიპს წარმოადგენენ, რომლებიც ევროპის კავშირის ინსტიტუტების შიგნით მოქმედებენ. ევროპარტიები მჭიდროდ თანამშრომლობენ მათთან დაკავშირებულ წევრებთან და ცდილობენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ევროპის კავშირის პოლიტიკის შემუშავებაში. ევროპის კავშირში არსებული პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინი საგარეო დონეზე ამომრჩევლისა და პარტიის წევრების შეხედულებებსა და ინტერესებს წარმოადგენენ, ამომრჩეველს საჯარო პოლიტიკის ვარიანტების კონკურენტულ კომპლექტს სთავაზობენ, პოლიტიკურ ლიდერებს რეკრუტირებენ და ამზადებენ, საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერესების კოლექტიური მიზნების გამოხატვას და გაერთიანებას უწყობენ ხელს, ეროვნულ დონეზე არსებულ პრობლემებს ლობირებენ და სხვა.

ევროპული ინსტიტუტები, მათ შორის, ევროპარლამენტი და შესაბამისად, ევროპარტიები ეროვნული პარტიებისთვის წარმოადგენენ ერთგვარ ინსტრუმენტს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. ევროპარტიასთან თანამშრომლობა მათ შორის გულისხმობს ფულის მოპოვებას პოლიტიკური ფონდების საშუალებით, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული გერმანული ფონდების დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარტიებსა და ეროვნულ პარტიებს შორის თანამშრომლობა ორივე მხარისთვის რაციონალური არჩევანის აქტია, ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან პრაქტიკაში განხორციელებული თანამშრომლობა ხშირად ნაკლებად თანმიმდევრული და რაციონალურია, რაც ქვეყანაში პოლიტიკის პერსონალიზაციის მაღალი ხარისხით, სუსტი დემოკ-

რატიული კულტურითა და შიდაპარტიული დემოკრატიის რიგი პრობლემებით არის განპირობებული. (LAVRELASHVILI, 2016).

თანამედროვე ევროკავშირის ევროპარლამენტის წევრები პოლიტიკურ ჯგუფებად იყოფიან, მაგრამ ევროპარლამენტში ევროპარტიები ეროვნების მიხედვით კი არა, არამედ პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით არიან ორგანიზებულნი. პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით, ევროპარლამენტში ამჟამად 7 პოლიტიკური ჯგუფია: European People's Party (EPP), Progressive Alliance of Socialists and Democrats (S&D), Renew Europe (Renew), Greens – European Free Alliance (Greens – EFA), European Conservatives and Reformists (ECR), Identity and Democracy (ID), The Left in the European Parliament GUE/NGL (GUE – NGL). შესაბამისად, თითოეულ ჯგუფში კონკრეტული ევროპარტია არის გაერთიანებული.

ჯგუფი	ევროპარტია
European People's Party (EPP)	**European People's Party (EPP)**[1]
Progressive Alliance of Socialists and Democrats (S&D)	**Party of European Socialists (PES)**[2]
Renew Europe	**Alliance of Liberals and Democrats for Europe (ALDE)**[3]**, European Democratic Party (EDP)**
Greens – European Free Alliance (Greens – EFA)	**European Green Party (EGP), European Free Alliance (EFA), European Pirate Party (PPEU), Volt Europa (Volt)**
European Conservatives and Reformists	**European Conservatives and Reformists Party (ECR Party), European**

[1] ევროპის სახალხო პარტია (EPP)

[2] ევროპის სოციალისტური პარტია (PES)

[3] ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)

(ECR)	Christian Political Movement (ECPM)
Identity and Democracy (ID)	Identity and Democracy (ID Party)
The Left in the European Parliament – GUE/NGL (GUE – NGL)	Party of the European Left (PEL), Nordic Green Left Alliance (NGLA), European Anti-Capitalist Left (EACL), Now the People! (NTP!), Animal Politics EU (APEU)

ქართული ოცნება და ევროპის სოციალისტური პარტია (PES)

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის გაფართოების შედეგად, სოციალისტურმა პარტიებმა 1974 წელს ევროპის სოციალისტური პარტიების კონფედერაცია[4] შექმნეს, ხოლო 1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, ჯგუფმა მიიღო სახელი, ევროპის სოციალისტური პარტია (PES). ევროპის სოციალისტური პარტია ევროპის კავშირის სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ და ლეიბორისტულ პარტიებს აერთიანებს. სტატუსის მნიშვნელობის მიხედვით, ევროპის სოციალისტური პარტია (PES) სრული, ასოცირებული და დამკვირვებელი წევრი პარტიებისგან შედგება. შესაბამისად, დამკვირვებელი წევრი პარტიის[5] სტატუსის მქონე ეროვნული პარტია უფრო დაბალი ხარისხის წევრობად ითვლება და მას უფრო ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება. ამასთანავე, დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსის მქონე ეროვნულ პარტიას ხმის მიცემის უფლება არ აქვს. (LAVRELASHVILI, 2022, P. 104).

ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) გაწევრიანებამდე, ქართულ ოცნებას მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგიური პოზიციები უნდა ჩამოეყალიბებინა, რადგან აღნიშნული ევროპარტია

[4] https://pes.eu/about-us/history/

[5] Observer Member Party

სწორედ მსგავსი იდეოლოგიური კომპასის გარშემო მოქმედებდა. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ განაახლა ქართულმა ოცნებამ პარტიის წესდება და რატომ განისაზღვრა თავი მემარცხენე-ცენტრისტულ პარტიად იყო სწორედ ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) გაწევრიანების სურვილი. შედეგად, 2015 წლის ივნისში **ქართულმა ოცნებამ** ევროპის სოციალისტურ პარტიაში დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსი მიიღო. (SHAGINA, 2017, P. 181).

2018 წელს ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტმა, სერგეი სტანიშევმა განაცხადა, რომ ევროპის კავშირი ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ამასთანავე, სტანიშევმა აღნიშნა, რომ საქართველოს პროგრესი უახლოვდებოდა ევროპის კავშირის სტანდარტებს. ევროპის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტის განცხადება მნიშვნელოვანი იყო, რადგან მასში აღინიშნებოდა, რომ ევროპარტიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მმართველ პარტიასთან, ქართულ ოცნებასთან. განცხადებაში სტანიშევი მიხეილ სააკაშვილსაც ახსენებდა და აცხადებდა, რომ საქართველომ ავტორიტარული წესებიდან დაიწყო და სვლა თავისუფალი საზოგადოების შექმნით გააგრძელა, რომელიც ქართული ოცნების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო (ბროლაძე, 2018).

მიუხედავად ამისა, 2023 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ბუდაპეშტში გამართულ ულტრაკონსერვატიულ კონფერენციას (CPAC - Conservative Political Action Conference) დაესწრო და ვიქტორ ორბანს შეხვდა. ევროპის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა გენერალურმა მდივანმა, ჯაკომო ფილიბეკმა განაცხადა, რომ თუ ღარიბაშვილს ღირებულებების გაზიარება ვიქტორ ორბანთან სურდა, მაშინ მათ ოფიციალურად უნდა განეხილათ ქართული ოცნების სტატუსი ევროპის სოციალისტურ პარტიაში. აღნიშნული ქმედების გამო (მხარეთა შორის იდეოლოგიური დაშორება და ეროვნული პოლიტიკური პარტიის მხრიდან პრორუსული ღირებულებების გაზიარება) 2023 წლის მაისში ქართულ ოცნებას ევროპის სოციალისტური პარტიის დატოვება მოუწია. ქართული ოცნების გადაწყვეტილების ერთ-ერთ საბა-

ბად კობახიძემ ბოლო ხანებში ევროპის სოციალისტური პარტიის იდეოლოგიური ტრანსფორმაცია დაასახელა და განაცხადა, რომ აღნიშნული ევროპარტია სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას შორდებოდა და ფსევდო-ლიბერალურ პლატფორმაზე გადადიოდა. საპასუხოდ, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მაიკლ როთმა ირაკლი კობახიძის განცხადებებს აღმაშფოთებელი უწოდა და განაცხადა, რომ ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) იდეოლოგიური ტრანსფორმაცია არ მომხდარა. დამატებით, მისი მოსაზრებით, ქართული ოცნება არ წარმოადგენდა ევროპულ ოცნებას.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო და ევროპის სახალხო პარტია (EPP)

1976 წლის 8 ივლისს ლუქსემბურგში[6] ევროპის სახალხო პარტია (EPP) დაარსდა. ამჟამად ევროპის სახალხო პარტია წარმოადგენს ევროპარტიას, რომელიც ქრისტიან-დემოკრატიული, კონსერვატიული და ლიბერალ-კონსერვატიული წევრი პარტიებისგან შედგება. სტატუსის მნიშვნელობის მიხედვით, ევროპის სახალხო პარტია რიგითი, ასოცირებული, დამკვირვებელი და პარტნიორი წევრი პარტიებისგან შედგება. როგორც აღვნიშნეთ, დამკვირვებელი წევრი პარტიის სტატუსის მქონე ეროვნულ პარტიას ხმის მიცემის უფლება არ აქვს.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ევროპის სახალხო პარტიაში (EPP) დამკვირვებლის სტატუსი 2008 წლის სექტემბერში მოიპოვა. მხარეთა შორის დაახლოების პროცესში გადამწყვეტი როლი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა და რეგიონში შეცვლილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ ითამაშა (SHAGINA, 2017, PP. 68-69). ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ევროპის სახალხო პარტიის

[6] https://www.eppgroup.eu/about-us/history

ყოფილი პრეზიდენტის, ვილფრედ მარტენსის[7] როლი, რომელიც საქართველოთი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული.

2012 წელს ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის, ვილფრედ მარტენსის რიტორიკა შეიცვალა, მან განაცხადა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას საფრთხე ემუქრებოდა. მარტენსის მიხედვით, საერთაშორისო გაფრთხილების მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილისა და მისი ადმინისტრაციის ქმედებები დღითიდღე უფრო არადემოკრატიული ხდებოდა. მარტენსი გმობდა დევნას, პოლიტიკურ დაპატიმრებებს, თავდასხმებს თვითმმართველობებზე და პარლამენტართა იძულებით მოსყიდვას. ვილფრედ მარტენსი საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, პატივი ეცათ დემოკრატიისთვის, კონსტიტუციური ნორმებისთვის, ფუნდამენტური ღირებულებებისთვის და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის.

2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე ევროპის სახალხო პარტიის (EPP) პრეზიდენტმა, ჟოზეფ დოლმა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მხარდაჭერა გამოუცხადა. მისი განცხადებით, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ წამოიწყო ძალიან საჭირო რეფორმები კანონის უზენაესობის დამყარების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველსაყოფად. ჟოზეფ დოლის მიხედვით, ევროპის სახალხო პარტია ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებების ერთგული რჩებოდა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მხარდაჭერას უცხადებდა. არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, ევროპის სახალხო პარტია საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა უზრუნველყო თავისუფალი, სამართლიანი და მშვიდობიანი არჩევნები, ევროპის სახალხო პარტია გმობდა ნებისმიერ ძალადობას ან დაშინებას, რომელიც ოპოზიციისკენ იქნებოდა მიმართული. ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი, ჟოზეფ დოლი ერთიან ნაციონალურ მოძრა-

[7] Wilfried Martens

ობას მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში წარმატებებს უსურვებდა და იმედოვნებდა, რომ საქართველოში დემოკრატია გაიმარჯვებდა.

2022 წელს როტერდამში ევროპის სახალხო პარტიის კონგრესი გაიმართა. ევროპარტიამ საქართველოს შესახებ განცხადება გამოაქვეყნა, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ იყო შეთავაზებული. განცხადების მიხედვით, ევროპის სახალხო პარტია ბოლო წლებში დიდი შეშფოთებით აკვირდებოდა საქართველოში დემოკრატიის უკუსვლის ტენდენციას. 18 ნოემბერს (2022 წელი), ევროპის სახალხო პარტიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში ჩართვამ რუსეთის გავლენის გაზრდა გამოიწვია, ამიტომ მიზანშეწონილი იყო მასზე პირადი სანქციების დაწესება. საქართველოს დემოკრატიული რეგრესი და რუსეთის გავლენა ქვეყანაში გამოწვეული იყო ბიძინა ივანიშვილის „ოლიგარქიული მმართველობით“ და შემდგომ, სახელმწიფოს ხელში ჩაგდებით. ევროპის სახალხო პარტია ევროპის კავშირსა და დემოკრატიულ პარტნიორებს მოუწოდებდა, რომ მათ „ოლიგარქ“ ბიძინა ივანიშვილისთვის პირადი სანქციები დაეწესებინათ, რადგან მისი როლი საქართველოს და ევროინტეგრაციას საფრთხეს უქმინდა. იმავე წლის მაისში ევროპის სახალხო პარტიამ განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ის ხაზს უსვამდა ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობას და მის გაუარესებულ მდგომარეობას, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა კი საქართველოს მთავრობას ეკისრებოდა.

2023 წლის მონაცემებით, იმ ფონზე, როცა ქართულ ოცნებას ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) დატოვება მოუწია, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ევროპის სახალხო პარტიას (EPP) შორის არსებული ურთიერთობები საკმაოდ მყარად გამოიყურება, რაც ევროპარტიის მხრიდან ქართული პარტიის არაერთი მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებით დასტურდება. შესაბამისად, პირველი ქართული პოლიტიკური პარტია, რომელიც ევროპის სახალხო პარტიის ოჯახს შეუერთდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იყო.

2017 წლის იანვარში **ევროპულმა საქართველომ** ევროპის სახალხო პარტიასთან (EPP) მოლაპარაკებები წამოიწყო, ხოლო სექტემბერში ეროვნულმა პარტიამ ევროპარტიის მხრიდან დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკურ ასამბლეაზე მიიღეს, რომელიც კოპენჰაგენში[8] გაიმართა. შესაბამისად, ევროპული საქართველო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემდეგ მეორე ქართული პარტია გახდა, რომელიც ევროპის სახალხო პარტიას შეუერთდა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 2018 წელს ბრიუსელში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ევროპულმა საქართველომ ევროპის სახალხო პარტიის (EPP) რეკომენდაციით საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შეთანხმებას[9] მოაწერეს ხელი. შეთანხმების მიხედვით, აღნიშნული პარტიები მეორე ტურში გადასულ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერდნენ მხარს. ამასთანავე, საპრეზიდენტო კამპანიის მიმდინარეობისას ისინი ერთმანეთის მიმართ არ გამოიყენებდნენ შეტევას და თავს შეიკავებდნენ კრიტიკისგან. აღნიშნული შეთანხმების მესამე პუნქტით არჩევნების ორივე ტურში პარტიები ამომრჩევლის მობილიზებას მოახდენდნენ, რადგან სწორედ არჩევნები იყო ხელისუფლების ცვლილების ერთ-ერთი გზა. შეთანხმებას ხელს გიორგი ბარამიძე და გიგა ბოკერია აწერდნენ. ევროპულ საქართველოსა და ევროპის სახალხო პარტიას შორის არსებულ მყარ ურთიერთობებზე 2023 წლის მარტში მიღებული რეზოლუციაც[10] მიუთითებს, რომელიც ევროპული საქართველოს მიერ იყო ინიცირებული. რეზოლუციაში არამხოლოდ რუსული კანონია დაგმობილი, არამედ ზოგადად, ქართული ოც-

[8] https://old.civil.ge/eng/article.php?id=30417&search=European Georgia Joins European People's Party

[9] https://civil.ge/ka/archives/245999

[10] https://www.europeangeorgia.ge/blogs/evropuli-saqartvelos-mier-initsirebuli-epp-is-rezolutsia-otsnebis-kursi-da-dasavluri-integratsia-sheutavsebelia

ნების ანტიდასავლური კურსი, რომელიც საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე მიუთითებს.

ქართული პოლიტიკური პარტიები და ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)

1976 წლის 26 მარტს ქალაქ შტუტგარტში[11] ევროპული ლიბერალური პარტია დაარსდა, ხოლო 2012 წლის 10 ნოემბერს პარტიამ თავისი ახლანდელი სახელწოდება აირჩია - ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE). ევროპარტიის შემადგენლობაში ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური პარტიები არიან გაწევრიანებულნი. სტატუსის მნიშვნელობის მიხედვით, "ALDE" სრული, აფილირებული და ინდივიდუალური წევრებისგან შედგება. "ALDE"-ს წესდების[12] გათვალისწინებით, სამივე სტატუსის მქონე წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ევროპარტიის საბჭოსა და კონგრესის სხდომებში, გამოთქვან თავიანთი აზრი და კენჭისყრაში მიიღონ მონაწილეობა (განსაზღვრული შინაგანაწესის შესაბამისად). ევროპარტიასთან აფილირებულ ეროვნულ პარტიებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი სრულ წევრობასთან დაკავშირებით.

პირველი ქართული პარტია, რომელიც ევროპარტიას შეუერთდა **საქართველოს რესპუბლიკური პარტია** იყო. 2007 წელს მან ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსში ევროპისთვის (ALDE) აფილირებული წევრი პარტიის სტატუსი მოიპოვა. მანამდე, 2006 წელს პარტია ლიბერალურ ინტერნაციონალს შეუერთდა, როგორც ასოცირებული წევრი, ხოლო 2013 წელს რესპუბლიკელებმა აღნიშნული ინტერნაციონალის სრული წევრობა მოიპოვეს. (SHAGINA, 2017, P. 72).

---

[11] https://www.aldeparty.eu/about_alde

[12] ARTICLES OF ASSOCIATION of the Alliance of Liberals and Democrats for Europe Party, European political party, adopted by the ALDE Party Congress in Athens, Greece on 24-26 October 2019

2019 წლის ივნისში ციურიხში[13] ერთმანეთს ლიბერალები შეხვდნენ, რათა "ALDE"-ს საბჭოში ძირითადი პოლიტიკური საკითხები განეხილათ. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ თავისი სტატუსი შეცვალა და სრულიდან აფილირებულ წევრად გადაიქცა.

შემდეგი პოლიტიკური პარტია, რომელიც „ALDE"-ს ოჯახს შეუერთდა **თავისუფალი დემოკრატები** იყვნენ. მათ ევროპარტიაში აფილირებული წევრი პარტიის სტატუსი 2012 წელს მოიპოვეს.

2020 წლის 17 სექტემბერს "ALDE"-მ ოფიციალურ საიტზე ინფორმაცია[14] გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც თავისუფალმა დემოკრატებმა პარტიის თავმჯდომარედ ახალი ლიდერი, თამარ კეკენაძე აირჩიეს. ახალი თავმჯდომარის მიხედვით, მას ამბიცია ჰქონდა, რომ პარტია პროდასავლურ ძალებთან განაგრძობდა მუშაობას, რადგან საქართველოს მოქალაქეებს ევროპული მომავლის იმედი ჰქონდათ.

2021 წლის დეკემბერში **სტრატეგია აღმაშენებელი** „ALDE"-ს სრული წევრის სტატუსით შეუერთდა, ხოლო შემდეგი წლის იმავე თვეში ევროპარტიამ სტრატეგია აღმაშენებლის მიერ ინიცირებული რეზოლუცია მიიღო. რეზოლუციის მიხედვით, "ALDE" მკაცრად გმობდა ირაკლი კობახიძის ბრალდებებს, თითქოს დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა სურდა. დამატებით, „ALDE" რეკომენდაციას გასცემდა, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მინიჭებოდა.

2023 წლის მაისში „ALDE"-ს კონგრესზე (სტოკჰოლმი) ევროპულმა პარტიებმა საგანგებო რეზოლუცია მიიღეს, რომელიც საქართველოს ევროპის კავშირსა და ნატოში ინტეგრაციას ეხებოდა. სტრატეგია აღმაშენებლის განცხადებით, აღნიშნული რეზოლუცია მათი შეტანილი იყო. მხარეთა შორის ურთიერთობათა სიმყარეზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ იმავე წლის ოქტომბერში "ALDE"-ს მოწვევით ლიბერალ ქალთა ალიანსის სამიტს სტრატეგია აღმაშე-

[13] https://www.aldeparty.eu/alde_party_council_meets_in_z_rich

[14] https://www.aldeparty.eu/free_democrats_georgia_elect_new_leader

ნებლის წევრი, ნანა ტოხვაძე დაესწრო.[15] უნდა აღინიშნოს, რომ სამიტის მიზანს პოლიტიკაში ჩართული ქალების გაძლიერება და მათ მიმართ მხარდაჭერის გამოჩენა წარმოადგენდა.

2022 წლის ივნისში დუბლინში[16] "ALDE"-ს საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც სხვა საკითხებთან ერთად საქართველოს პოლიტიკური პარტიები, **ლელო საქართველოსთვის** (სრული წევრი) და **გირჩი - მეტი თავისუფლება** (აფილირებული წევრი) ევროპარტიას შეუერთდნენ. ივნისშივე ევროპარლამენტარი, სვენია ჰანი[17] „ALDE"-ს ოჯახში მყოფ ხუთივე ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა. ევროპარლამენტარის განცხადებით,[18] ოპოზიციური პარტიები ერთობლივად მუშაობდნენ, რათა საქართველოს ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსი მიეღო. დამატებით, სვენია ჰანი თვლიდა, რომ მათ მუშაობაში ქართული ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო, დემოკრატიის განმტკიცებისკენ იყო მიმართული.

იმავე წელს „ALDE"-მ ლელოს მხარდამჭერი განცხადება[19] გამოაქვეყნა და მისი ლიდერების, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა დაგმო. "ALDE"-ს რეზოლუციაში ეწერა, რომ აღნიშნული ნაბიჯი საქართველოს პოლიტიზებული მართლმსაჯულების გამოვლინება იყო, რაც პოლარიზაციის შემცირების მიზნებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.

---

[15] https://www.interpressnews.ge/ka/article/775676-alde-s-mocvevit-nana-toxvaze-liberal-kalta-qovelcliur-samits-daescro/

[16] https://www.aldeparty.eu/alde_party_council_welcomes_new_members_in_dublin

[17] Svenja Hahn

[18] https://www.interpressnews.ge/ka/article/717213-evroparlamentari-svenia-hani-azrta-mnishvnelovani-gacvla-mkonda-sakartvelos-liberaluri-partiebis-carmomadgenlebtan/

[19] https://www.radiotavisupleba.ge/a/32160270.html

2023 წლის მარტში ევროპარტიამ ლიბერალურ ინტერნაციონალთან ერთად საერთო განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოში მომიტინგეების მიმართ განხორციელებული ძალადობა იყო დაგმობილი. ევროპარტია კანონს „უცხოეთის აგენტების“ შესახებ აკრიტიკებდა და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა, რომ საპროტესტო აქციების დროს დაკავებულები გაენთავისუფლებინათ, მათ შორის, გირჩი - მეტი თავისუფლების ლიდერი,[20] ზურაბ ჯაფარიძე, რომელსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ. “ALDE”-ს შეხედულებით, მსგავსი პროვოკაციები საქართველოს ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსისგან უფრო აშორებდა.

საქართველოს კონსერვატიული პარტია და ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსი (ACRE)

2009 წლის 1 ოქტომბერს, პრაღის დეკლარაციის[21] დამფუძნებელი პრინციპების შესაბამისად, ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების (ECR) ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ევროპარლამენტში მემარჯვენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს. იდეოლოგიური კუთხით, მასში გაერთიანებული ეროვნული პოლიტიკური პარტიები კონსერვატიზმითა (მათ შორის, ნაციონალური კონსერვატიზმი) და რბილი ევროსკეპტიციზმით ხასიათდებიან.

2014 წლის ნოემბერში **საქართველოს კონსერვატიული პარტია** ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსს (ACRE) სრული წევრის სტატუსით შეუერთდა,[22] თუმცა შემდგომში მისი დატოვება მოუწია.

2017 წლის მარტში ევროპარტიამ განცხადება[23] გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ისინი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის

[20] https://www.aldeparty.eu/joint_statement_of_alde_party_and_liberal_international_on_the_violence_against_protestors_in_georgia

[21] https://ecrgroup.eu/ecr

[22] ACRE Member non-EU Parties List

[23] https://civil.ge/archives/126262

სამართლებრივ საქმეს ყურადღებით აკვირდებოდნენ. ამასთანავე, ევროპარტია იმედოვნებდა, რომ საქართველოს მთავრობა ქვეყანაში მედიის თავისუფლებას დაუჭერდა მხარს.

დასკვნა

ევროპარტიები თავისი არსით, ევროპარლამენტის შიგნით ფუნქციონირებენ. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ მათთან დაკავშირებულ წევრებთან და ცდილობენ ევროპის კავშირის პოლიტიკის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. როგორც ლეთ, ამჟამად, პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით, ევროპარლამენტში 7 ჯგუფია.

პირველი ქართული პოლიტიკური პარტია, რომელიც ევრო-პარტიას შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკური პარტია იყო. 2007 წელს მან ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსში ევ-როპისთვის (ALDE) აფილირებული წევრი პარტიის სტატუსი მოიპოვა.

აღნიშნული პარტიის შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრა-ობის ჯერი დადგა და ის 2008 წლის სექტემბერში დამკვირვებლის სტატუსით სხვა ევროპულ ოჯახს, ევროპის სახალხო პარტიას (EPP) შეუერთდა.

2012 წელს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მსგავსად, უკვე თავისუფალი დემოკრატები (აფილირებული წევრი პარტია) გახდნენ „ALDE”-ს ოჯახის წევრი.

რაც შეეხება საქართველოს კონსერვატიულ პარტიას, მან ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსი (ACRE) აირჩია და 2014 წლის ნოემბერში მას სრული წევრის სტატუსით შეუერთდა, მიუხედავად ამისა, ეროვნულ პარტიას მოგვიანებით მისი დატოვება მოუწია.

საქართველოს მმართველი პარტიის შემთხვევაში, ქართულ ოცნების ჯერი 2015 წლის ზაფხულში მოვიდა. ქართულმა ოცნებამ განსხვავებული ევროპული ოჯახის წევრობა დაისახა მიზნად და ევროპის სოციალისტურ პარტიაში (PES) დამკვირვებელი წევრი

პარტიის სტატუსი მიიღო, თუმცა მხარეთა შორის იდეოლოგიური დაშორებისა და სხვა ფაქტორების გამო, 2023 წლის მაისში მას აღნიშნული ევროპარტიის დატოვება მოუწია.

2017 წლის სექტემბერში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემდეგ ევროპული საქართველო გახდა მეორე ქართული პოლიტიკური პარტია, რომელიც ევროპის სახალხო პარტიას (EPP) შეუერთდა. (დამკვირვებელი წევრი პარტია).

ამასთანავე, საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა და თავისუფალი დემოკრატების შემდეგ, სტრატეგია აღმაშენებელი (სრული წევრი), ლელო საქართველოსთვის (სრული წევრი) და გირჩი - მეტი თავისუფლება (აფილირებული წევრი) იმავე ევროპულ ოჯახს შეუერთდნენ (ALDE). შესაბამისად, გამოდის, რომ ქართული პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი (5 მათგანი) სწორედ “ALDE”-ში არის გაწევრიანებული.

რაც შეეხება ევროპის სახალხო პარტიის (EPP) რიგებს, მასთან ორი ქართული პარტია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო) არის დაკავშირებული.

საქართველოს მმართველი პარტიის, ქართული ოცნების მხრიდან ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) დატოვების შემდეგ საინტერესოა რომელ ევროპარტიასთან წამოიწყებს ის კომუნიკაციას, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ევროპარტია თავისი მასშტაბით, ევროპის სახალხო პარტიისა (EPP) და შესაბამისად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძალაუფლების მთავარ კონკურენტს წარმოადგენდა. თუ ადრე ქართულ ოცნებას იმედი ჰქონდა, რომ PES-ი მისი პოლიტიკის ენერგიული და ერთგული მხარდამჭერი იქნებოდა, ახლა ის მისი უახლოესი ევროპელი მეგობრის გარეშე დარჩა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებს მმართველი პარტიის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ იმიჯზე. სოციალისტების დატოვების პირობებში ქართულ ოცნებას საკმაოდ გაუჭირდება ამომრჩევლის დარწმუნება იმაში, რომ მისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საქართველოს ევროპის კავშირში სრული ინტეგრაცია წარმოადგენს.

გაწევრიანების კუთხით ევროპარტიებისა და ქართული პოლიტიკური პარტიების ურთიერთობათა ისტორია შემ-დეგნაირად გამოიყურება:

ევროპარტია	ქართული პოლიტიკური პარტია	გაწევრიანება	სტატუსი
ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)	**საქართველოს რესპუბლიკური პარტია**	**2007**	**აფილირებული**
ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)	**თავისუფალი დემოკრატები**	**2012**	**აფილირებული**
ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)	**სტრატეგია აღმაშენებელი**	**2021**	**სრული**
ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)	**ლელო საქართველოსთვის**	**2022**	**სრული**
ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის	**გირჩი - მეტი თავისუფლება**	**2022**	**აფილირებული**

(ALDE)			
ევროპის სახალხო პარტია (EPP)	**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**	**2008**	**დამკვირვებელი**
ევროპის სახალხო პარტია (EPP)	**ევროპული საქართველო**	**2017**	**დამკვირვებელი**
ევროპის სოციალისტური პარტია (PES)	**ქართული ოცნება**	**2015**	**დამკვირვებელი /დატოვა**
ევროპის კონსერვატორების და რეფორმისტების პარტია (ECR)	**საქართველოს კონსერვატიული პარტია**	**2014**	**სრული/დატოვა**

გამოყენებული ლიტერატურა:

Ferens, B. (2021). *The International power of Europarties.* https://www.ips-journal.eu/topics/european-integration/the-international-power-of-europarties-5193/

Gastol, B. (2017). *Are the Europarties Real Political Parties? National Parties Involvement in Multi-level Structures of European Political Parties*. Jagiellonian University, Krakow, Poland.

Lavrelashvili, T. (2016). *Europarties & the Unused Potential of Cross-Party Partnership.* http://gtarchive.georgiatoday.ge/news/4483/Europarties-&-the-Unused-Potential-of-Cross-Party-Partnership-

Lavrelashvili, T. (2022). *The European People's Party (EPP) Engagement with its Sister Parties in Serbia and Georgia.* KU LEUVEN, FACULTEIT SOCIAL WETENSCHAPPEN.

Sedlakova, M. (2013). *THE ROLE OF IDEOLOGY IN BOUNDARY MAINTENANCE OF EUROPARTIES.* Central European University, Department of Political Science. Budapest, Hungary.

Shagina, M. (2017). *JOINING A PRESTIGIOUS CLUB, Cooperation with Europarties and Its Impact on Party Development in Georgia, Moldova, and Ukraine 2004-2015.* Soviet and Post-Soviet Politics and Society. Vol.172. Ibidem Press, Stuttgart.

ბროლაძე, ა. (2018). *სერგეი სტანიშევი - დღეს თქვენ ცხოვრობთ უფრო თავისუფალი ცხოვრებით, რაც ასევე „ქართული ოცნების“ და მთავრობის მიღწევაა.* https://1tv.ge/news/sergei-stanishevi-dghes-tqven-ckhovrobt-ufro-tavisufali- ckhovrebit-rac-aseve-qartuli-ocnebis-da-mtavrobis-mighwevaa/

Lado Grdzelishvili

Georgian political parties united in European parties

Abstract

For today's Georgia, which is waiting for the Candidate Status from the European Union, relations between Georgian political parties and European parties are of immense importance. European parties, as constituent parts of the European Parliament, represent a kind of mechanism for national political parties. Without efficient communication with the European parties, it is irrelevant to talk about whether Georgia can fully integrate into the European Union. It turns out that European parties construct certain prerequisites for national political parties to attain the ultimate goal, making Georgia a full member of the European Union. Despite the above, it is a paradox that in Georgia (Scientific Society, Civil Sector) such an urgent issue (European Parties and Georgian political parties) is only partially studied. Apart from the scientific community and the civil sector, relations with the European parties in Georgia are primarily covered by the media, although such information is largely limited. Based on this, the mentioned article will focus decisively on the history of relations between Georgian political parties and European parties and will endeavor to chronologically examine which Georgian political parties are related to European parties and, in general, what is the existing dialogue between them.

Keywords: European parties, Georgian political parties.